საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №141/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 7 დეკემბრის №141 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 22 დეკემბრის №904/141-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 27 იანვარი №141/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობა გაასწორა და განჩინებაში არასწორად მიუთითა სარჩელის ფასი, რაც საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლე არ იცნობდა საქმის მასალებს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 24 ივნისს -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- წარმომადგენელმა მოპასუხე სსიპ -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2020 წლის 3 ივლისს -- -- სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- წარმომადგენელმა -- --. მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებაში აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნაში დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა და სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა -- ლარი.

2020 წლის 29 ივლისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

მოპასუხე მხარემ შესაგებელი -- -- სასამართლოში წარადგინა 2020 წლის 31 აგვისტოს.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 16 ნოემბერს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა მოსარჩელემ. -- -- სასამართლოს 2020 წლის 17 ნოემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2020 წლის 20 ნოემბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინება მოპასუხემ გაასაჩივრა 2020 წლის 25 ნოემბერს. -- -- სასამართლოს 2020 წლის 16 დეკემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2020 წლის 17 ნოემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლის მეორე ნაწილის თანახმად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 27 იანვრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 7 დეკემბრის №141 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმადაც, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

მოსამართლის მიერ შეუფერებელი ქცევაზე მსჯელობისას უნდა შეფასდეს შემდეგი გარემოებები:

- მოსამართლის ამგვარი ქცევა საფრთხეს ხომ არ უქმნის მოსამართლეთა ავტორიტეტს;
- არსებითად ხომ არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს;
- არსებითად ხომ არ არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს;
- ზიანს ხომ არ აყენებს საზოგადოების ნდობას სასამართლოს მიმართ;
- ეჭვქვეშ ხომ არ აყენებს სასამართლოს მიერ მხარეთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაზე, ისევე როგორც სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებზე, რომლის მე-3 ღირებულების თანახმად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. სასამართლოში და სასამართლოს გარეთ მოსამართლემ უნდა დაიცვას და განავითაროს ქცევის ნორმები, რომლებიც ხელს უწყობს სასამართლოს რეპუტაციის დაცვას და მოსამართლის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ არ შეისწავლა საქმის გარემოებები, მხარის მიერ წარდგენილი დაზუსტებული განცხადებები და ისე გამოიტანა განჩინება.

დადგენილია, რომ -- -- წარმომადგენელმა -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა 2020 წლის 24 ივნისს. დავის არსის მოკლე მიმოხილვაში მოსარჩელემ გადასახდელი თანხის ოდენობად მიუთითა -- ლარი, ხოლო სამართლებრივი საფუძვლებში - -- ლარი. მოსამართლემ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ „მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს -- -- ლარის დაკისრება (უკან დაბრუნება)“. შესაბამისად, მოსამართლემ განჩინებაში მიუთითა სარჩელში მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაში აღნიშნული თანხის ოდენობა.

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, სადაც სადისციპლინო კოლეგიამ განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს... მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა,

რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას“.[1]

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის ქმედება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, თუმცა თავისი არსით არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომას. შესაბამისად, ყოველი საპროცესო ნორმის დარღვევა არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

მოცემულ შემთხვევაში საჩივარში მითითებული გარემოებებით არ იკვეთება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტის დარღვევის ნიშნები, რადგან აღნიშნული ქმედებები არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტისა და 75[13] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

[1] სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

დისციპლინურ საქმეზე №141/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი